ეროვნული უმცირესობების როლი ქართულ ლიტერატურაში:

საიათ ნოვა და მისი შემოქმედება.

ავტორი: ნინო ბაქრაძე

ტური მომზადდა სერიის “როგორ იქმნებოდა საქართველო” ფარგლებში.

პროექტის მიზანია, მოგვითხროს თბილისის მდიდარ ეთნიკურ და
რელიგიურ მრავალფეროვნებაზე. ასევე, წარმოაჩინოს იმ
უმცირესობების წვლილი, რომლებმაც საუკუნეების
განმავლობაში შექმნეს საქართველოს
საერთო ისტორია
და კულტურული
მემკვიდრეობა.

2025

კაკვეთილის მიზანი:

- მოსწავლეებმა შეიტყონ საიათ ნოვას ცხოვრების შესახებ და გაეცნონ მის შემოქმედებას;
- დააკავშირონ საიათ ნოვას ლიტერატურის როლი ქართული კულტურის განვითარებასთან;
- ანალიზი გაუკეთონ იმას, თუ როგორ ასახა მწერალმა ეთნიკური უმცირესობებისა და ქართული კულტურის შერწყმა თავის შემოქმედებაში. მეთოდიკაში შევა შემდეგი: ამობრუნებული საკლასო ოთახი და ინტერაქციული ჩართვები.

კაკვეთილის შესავალი

ბიოგრაფიული ცნობების განხილვა

საიათნოვას ნამდვილი სახელია არუთიუნ საიათიანი. დაბადებული 1712 წელს. იგი იყო სომეხი პოეტი,რომელიც ცხოვრობდა საქართველოში. მისი ოჯახური სიტუაცია არც ისეთი სახარბიელო იყო, რადგან ეკონომიკურად არასტაბილურები იყვნენ. მამა გახლდათ ალეპოელი მნათე, დედა კი თბილისელი, კერძოდ, ავლაბრელი სომეხი. ოჯახური სიტუაციიდან გამომდინარე მან ვერ შეძლო სათანადო განათლების მიღება. საიათნოვა წერდა ლექსებს, თხზავდა პოემებს, ქმნიდა სიმღერებს. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ იგი მოღვაწეობდა ერეკლე მეორის სამეფო კარზე, თუმცა გამოაძევეს. სამეფო კარზე მელექსე-მოშაირისა და მომღერლის გარდა მას ჰქონდა დიპლომატის როლიც. გამოძევების მიზეზი ამბობენ, რომ უცნობია. თუმცა, ერთ-ერთი ცნობის მიხედვით მას შეჰყვარებია სპარსეთის შაჰის ქალიშვილი და სწორედ ამან განაპირობა მისი გამოგდება სამეფო კარიდან. ამის შემდეგ საიათნოვა ხდება ბერი ახპატში. მისი გარდაცვალების შესახებ ვიცით დაახლოებითი თარიღი, კერძოდ, აღა მაჰმად ხანის შემოსვლის დრო საქართველოში - 1795 წელი. იგი დაკრძალულია სურფგევორქის ეკლესიაში. ისტორიული ცნობების მიხედვით დასტურდება, რომ იგი მწვავედ განიცდიდა სასახლიდან გამოძევებას.

კითხვა მოსწავლეებს:

თქვენი აზრით, რა განცდა დაეუფლებოდა საიათნოვას, როცა არ მიეცემოდა შესაფერისი განთლების მიღების საშუალება და რა კუთხით გამოვლინდებოდა ეს მის შემოქმედებაზე?

გაიხსენეთ ქართველი მწერალი, რომელსაც აგრეთვე არ ჰქონდა განათლების მიღების საშუალება ხელმოკლეობის გამო. დააკავშირეთ ამ მწერლისა და საიათნოვას ბიოგრაფიული ელემენტები ერთმანეთთან. წარმოადგინეთ თქვენი შესაძლო ვარაუდები აღნიშნულ კითხვებზე, სანამ უშუალოდ გაკვეთილის ძირითად ნაწილზე გადავიდოდეთ.

აუდიტორიის აქტივობისთვის ბიოგრაფიული ცნობების განხილვის შემდეგ იქნება შემდეგი დავალება: მოსწავლეები წყვილებში დანაწილდებიან და მათ მიეცემათ 5 წუთი, რომ ინტერპრეტირება სცადონ ერეკლე მეორისა და საიათნოვას ეპიზოდის, როცა მას მეფე აძევებს სასახლიდან. მოსწავლეებს ექნებათ ასევე საშუალება წყვილებში დაიმატონ ბავშვები და მოიფიქრონ აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებული როლები და გაითამაშონ.

მეტად დასამახსოვრებელი რომ იყოს პარალელები გადაიტანეთ რვეულში მსგავსი ცხრილი და შეავსეთ:



მოცემულ ფოტოზე გამოსახულია საიათნოვა. საშინაო დავალების სახით მოსწავლეები დახატავენ მის პორტრეტს, შესაძლებელია ილუსტრაციების შექმნა შერჩეული ლექსების საფუძველზეც. ეს საინტერესო იქნება იმ ბავშვებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ხელოვნებით, კერძოდ, ხატვით.

საიათნოვას შემოქმედება

საიათნოვას შემოქმედების ძირითადი ლაიტმოტივია სიყვარულის ანუ „მიჯნურობის“ თემატიკა. აღსანიშნავი ფაქტია, რომ მის მიერ დაწერილ ავტობიოგრაფიულ ლექსებში იგრძნობა პოეტის ფსიქო-სოციალური მდგომარეობა. პოეტის შემოქმედება მოიპოვება სომხურსა და აზერბაიჯანულ ენებზეც. უამრავი სიმღერა აქვს შექმნილი, ამასთანავე, ლექსები. საიათნოვას პოეზიაში მარტივად არის შესამჩნევი აღმოსავლური სტილის გავლენა, რომელიც შემდეგ მკაფიოდ აისახა ქართულ ლიტერატურაზე. საიათნოვას ქართული ლექსების გამოცემა უკავშირდება იოსებ გრიშაშვილისა და ალექსანდრე ბარამიძის სახელს. წყარო: მარინე კიკნაძე, ლექსწყობის საკითხები.



ფოტოზე ნაჩვენებია საიათნოვას მიერ ქართულად დაწერილი თურქული პოემა.

თავად საიათნოვას ხელით დაწერილი პოემა, რომელშიც გამოყენებულია ქართულისა და სომხური ენების ანბანთა ნაზავი.

საიათნოვას როლი ქართულ კულტურასა და ლიტერატურაში

საიათნოვამ სცადა სომხური და ქართული კულტურის ერთ ვაკუუმში მოქცევა. პოეტისშემოქმედებაშიასახულიაერთამრავალფეროვნებისმდომარეობაც,კერძოდ, ერთ სივრცეში სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების ცხოვრებას დადებით კონტენტში, როგორიცაა მეგობრობის, მშვიდობისა და ურთიერთპატივისცემის იდეა. ამ კუთხით პოეტმა თითქოს მოშალა ის დადგენილი დოგმატური საზღვრები, რომელიც ასხვავებდა ადამიანებს ეთნიკური ნიშნით. საიათნოვას სიმღერებში ასახული იყო სომხური, ქართული, აზერბაიჯანული, ირანული კულტურების ინტეგრირება. მკაფიოდ ჩანს პოეტის ბიოგრაფიაში, რომ დიდი მონდომებით ცდილობთა ქართულისა და სომხურ კულტურათა სინთეზს, სწორედ ეს აქცევდა მას მთავარ გამდებ ხიდად ამ ორი დიდი ტრადიციების მქონდე მატარებელ ერში.

საიათნოვას სახელობის სკვერი, რომელიც მდებარეობს თბილისში, მეიდანზე.

უშუალოდ საიათნოვას პოეზიის ანალიზი და ლექსიკის საკითხები,

ი.გრიშაშვილი იყო ადამიანი, რომელმაც საიათნოვას ლექსები ერთ წიგნად გამოდგვცა. მარინე კიკნაძის სტატიაში ნათლად არის ჩაშლილი პოეტის ლექსის საკითხები. სანამ უშუალოდ პოეტის რომელიმე ლექსის ანალიზზე გადავიდოდეთ, საჭიროა მისი სტილის განხილვა. საიათნოვას ენა ძალზედ მარტივია, თუმცა იმავდროულად საკმაოდ აზრიანი. მის ლექსებში შეინიშნება აღმოსავლური სიტყვების სიჭარბე ,ამასთანავე, აღმოსავლური ფრაზები და მისთანანი. ეს გამოწვეულია იმით, რომ მაშინდელი თბილისური ენა სწორედ ასეთი ეყო, რადგან თბილის გახლდათ ვაჭარ-ხელოსნებით დატვირთული ქალაქი. ჩვეულებრივი მკითხველებისათვის საიათნოვას ეს მეტყველება არც ისეთი მარტივი გასაგები იყო და არის, ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად ი.გრიშაშვილმა საიათნოვას ლექსებს დაურთო სპეციალური ლექსიკონი, რომელშიც 170-ზე მეტი აღმოსავლური სიტყვა დასტურდება. შემოგთავაზებთ რამდენიმე სიტყვის განხილვას:

I. დიბა - სპარსული სიტყვაა და ნიშნავს აბრეშუმის ქსოვილს. ქართულ ენაში დიბა წარმოადგენს ოქრომკედით ნაქსოვ მძიმე ფარჩას.
II. ყირმიზი - სპარსული სიტყვაა და ნიშნავს წითელ ფერს.
III. ალთმიშუღი - თურქული ფულის ერთეული.
IV. სიმი - სპარსული სიტყვაა და ნიშნავს ვერცხლს.
V. ოქმი - არაბულსა და სპარსულ ენებში ნიშნავს ბრძანებას, განკარგულებას.
წყარო: მარინე კიკნაძე, ლექსწყობის საკითხები.

საშინაო დავალება: მოიძიეთ ეს ლექსიკონი და ამოწერეთ 10-10 სიტყვა თავისი განმარტებითურთ, შეადგინეთ წინადადები ამ სიტყვებზე, დაწყვილდით და გამართეთ დიალოგები, რომელსაც შემდეგ კლასში განვიხილავთ.

ლექსის განხილვა

„ერთი რამ მაქვს სათხოვარი“

ერთი რამ მაქვს სათხოვარი,მომისმინე თვალსაჩინო,
ნახვა მინდა, მო, ცრემლები მომიწმინდე, თვალსაჩინი
რა მიქნია, რომ მიწყრები? გამიცინე, თვალსაჩინო,
ყველა გაძღა სიყვარულით, მე ვეწამე, თვალსაჩინო!
არავის არავინ ჰყვარებია? ეს რა მიყავ, ეს რა არის?
შენის ეშხით აბნეული მე დავდივარ როგორც მთვრალი,
ჩემი დარდის ერთ მისხალსაც ვერ გაუძლებს კაცი, ქალი,
გული მწარედ დამეთუთქა ეშხის ცეცხლზე, თვალსაჩინო!
მეგობრები მტრად მიქციე, სხვასთან როგორ არ გავხუნდე?
განვლილ დღეებს ვეღარ ვხედავ, თუმცა მინდა დავუბრუნდე.
ღმერთსა ვფიცავ, ძნელი არის, მითხარ როგორ არ დავღონდე?
მე პატარა ნავსა ვგევარ, შენ ეშხის ზღვას, თვალსაჩინო!
მსურს, რომ გავხსნა ენა-პირი შენს საქებრად, სადიდებლად,
ათი წელი შენ დაგეძებ ფადიშაჰის ელჩის მსგავსად,
შვიდი წელი კიდევ ვივლი ვით ყარიბი შენს საძებრად.
შენ ხარ ჩემი შაჰსანამი, სხვა ვიღა მყავს თვალსაჩინო?
თუ გინდ მქონდეს ზღვა-დარდები, მე არაფერს არ ვინაღვლი,
მზეთა-მზეთაც შენა მყევხარ, სხვისთვის ცრემლებს რისთვის დავღვრი?
საიათ-ნოვამ დაიმღერა: მე იმ სიკვდილს არად ჩავთვლი, -
მკვდარი ვიყო, თმა-გაშლილი, დამტიროდე, თვალსაჩინო !

ეს ლექსი სომხურიდან თარგმნა სურენ ავჩიანმა. ლექსი დაბეჭდილია გაზეთ - „ლიტერატურა და ხელოვნება“-ში.

ლექსის განხილვამდე კითხვა აუდიტორიას: გაიხსენეთ შესავალში ნათქვამი დეტალები პოეტის ცხოვრებიდან და გამოთქვით ვარაუდები რა წანამძღვრები შეიძლება ჰქონოდა ამ ლექსის დაწერას. დისკუსიას დაეთმობა არაუმეტეს 2 წუთი. საკლასო აქტივობა: დაჯგუფდით და რიგის მიხედვით წაიკითხეთ თითო სტრიქონი ხმამაღლა, მხატვრულ კითხვაში საუკეთესო ჯგუფი დაწინაურდება გარკვეული პრივილეგიით.

საიათ-ნოვა ზოგადად წერდა ისეთ თემებზე, რომელიც მოიცავდა მიჯნურობას. მოცემულ ლექსში ჩანს სასოწარკვეთა, მარტოობა, განდეგილობა, რადგან ლირიკული გმირი მარტოა, მიჯნურისგან უარყოფილი. რა მოტივი უნდა ჰქონოდა მწერალს? ძირითად ამ ლექსის ასპექტები არის ტრაგიზმი, უიმედობა, იმედგაცრუება, ადამიანის შინაგანი სამყაროს გაცნობა. პოეტის ცხოვრება და შემოქმედება გადაჯაჭვულია ერთმანეთზე, ლექსში ჩანს ავტობიოგრაფიული ელემენტები.

აუდიტორიაში განტვირთვის მიზნით მოვისმინოთ საიათ-ნოვას სიმღერა, რომელიც საკმაოდ პოპულარულია: (https://youtu.be/y6Ci0IsaxzI?feature=shared)

სიმღერის მოსმენის მიზანი არ არის მხოლოდ განტვირთვა, მისი მიზანია დამსწრე საზოგადოების იმ ეპოქაში მოგზაურობა და დაკვირვება ხმის, მუსიკისა და ენის ტონალობაზე. მოსმენის შემდეგ აუდიტორიაში აუცილებლად მოვისმენთ რეფლექსიას მსმენელებისგან და კითხვები იქნება შემდეგნაირი:

1.შთაბეჭდილებების გაზიარება ერთმანეთისთვის;
2.რა გრძნობა დაეუფლათ მისი მოსმენისას: აღწერეთ თქვენი ემოციები;
3.შესაძლებელია თუ არა ამ მელოდიისა და ხმის ტემბრის დაკავშირება პოეტის ცხოვრებისთან, და თუ კი, რა თვალსაზრისით?
4.ამჩნევთ თუ არა მსგავსებას ქართულ მუსიკასთან? დაასახელეთ რომელი ნაწარმოებები გაგახსენდათ მისი მოსმენისას.

სურენ ავჩიანის სტატია - „ დიდი აშუღი მგოსანი“

გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ წარმოდგენილია საიათნოვას შესახებ სტატიები. სტატიის ავტორები დიდი პატივისცემით იხსენიებენ პოეტსა და მის შემოქმედებას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მწერალთა საზოგადოება და ზოგადად გამოჩენილი მოღვაწეები ამ სტატიაში აღნიშავენ შემდეგს - საიათნოვას სიმღერები ბევრ ენაზე ჟღერს:ქართული, აზერბაიჯანული, სომხური. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმ მოსაზრებას, რომ საიათნოვას დიდი გავლენა ჰქონდა ნახსენები ქვეყნების ლიტერატურაზე. შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი საკმაოდ დაფასებული პიროვნება გახლავთ, რომელსაც დღესაც დიდი პატივისცემით იხსენიებს საზოგადოება. აქ გამოკვეთილია ეთნიკური უმცირესობის მიმართ გამოხატული მოკრძალება და პატივისცემა, რადგან ამ ადამიანმა საკმაოდ დიდი საგანძური დატოვა. უამრავმა ქართველმა პოეტმა მიუძღვნა საიათნოვას ლექსები და დღესაც დიდი ინტერესით იკვლევენ ქართველი მეცნიერები მის ღვაწლსა და შემოქმედებას.

ქართველი პოეტების მხრიდან გამოხატული პატივისცემა საიათნოვას მიმართ:

საიათნოვას შესახებ პირველ ცნობებს იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ ვხვდებით, თუმცა პოეტი მოხსენიებულია როგორც - „საათლამა“. მნიშვნელოვანია პ.იოსელიანის მონოგრაფიაც, რომელშიც საიათნოვას მიმართ არის მიძღვნილი სიტყვა. მეცხრამეტე საუკუნეში უფრო მეტად ძლიერდება პოეტის შემოქმედების მიმართ ინტერესი. უამრავმა მეცნიერემა მიუძღვნა მას სხვადასხვა კვლევა და ნაშრომი.ცნობილი ფაქტია, რომ მწერლებმა: იოსებ გრიშაშვილმა, გიორგი ლეონიძემ, გალაქტიონ ტაბიძემ, ოვანეს თუმანიანმა და კიდევ სხვებმა უძღვნეს მას ლექსები.

გთავაზობთ ოვანეს თუმანიანის ლექსს საიათნოვას მიმართ, რომელიც თარგმნა იოსებ გრიშაშვილმა:

მოვიდა ლექსითა,
წავიდა კვნესითა,
საიათნოვა!
სიმღერით იარა,
წაიღო იარა...
საიათნოვა!
გვიხმობდა ძახილით,
მოგვიკლეს მახვილით,
საიათნოვა!
წავიდა გლოვითა,
სიტკბოთი მოვიდა,
საიათნოვა!

საკლასო აქტივობა: დააკავშირეთ საიათნოვას ბიოგრაფიული ცნობები და ლექსში გადმოცემული დეტალები ერთმანეთთან, რითი უკავშირდებიან ერთურთს?!

საკმაოდ მნიშვნელოვანია ლადო ასათიანის ლექსი, რომელშიც თბილისის განუყოფელ ნაწილად მოიხსენიება საიათ ნოვა, გიზიარებთ ლადო ასათიანის ლექსს:

მე ვეტრფი ძლიერ ტფილისის ჰავას,
ნიკო ფიროსმანს და საათნავას,
მე იმ ლოთიან მომღერალს ვგავარ,
ქართველი ქალის შნოსა და ჯავარს
და საქართველოს ლურჯი ცის თავანს
რომ უმღეროდა დაუღალავად!

მე ვეტრფი ძლიერ თბილისელ ხაბაზს,
დილით ადრე რომ ააფრენს ლავაშს,
ორბელიანის ძლიერ მუხამბაზს,
ნიკო ფიროსმანს და საათნავას!
მე ვეტრფი იმ თეთრჩოხიან მაყარს,

კრიმანჭულის დროს ცას რომ ახედავს,
და კახურ ამბოხს, შლეგსა და მაგარს,
შემოდგომაზე ქვევრს რომ გახეთქავს!

მე ვეტრფი მხოლოდ ლამაზის თვალებს,
ლამაზი არის თბილისში ყველა
და სიყვარულით უგონოდ მთვრალი
და შველა უნდათ ლამაზებს, შველა!

მე ვეტრფი მეტად რუსთველის სახელს,
ვით საქართველოს სინდისს და ნამუსს,
ყველა ღვინისმსმელს და ყველა კახელს,
ამ ჩემ პატარა ძველთაძველ მამულს,
ქართულ ჩონგურს და ქართულ სალამურს,
თბილისის ცას და თბილისის ჰავას,
ნიკო ფიროსმანს და საათნავას!

მე დაჭრილი ვარ უიარაღოდ,
მე შენს სიყვარულს ვერ გავექეცი,
ვერ იტყვი ჩემზე, გული არ აქვსო,
მე გული მქონდა და შენ მოგეცი,
მე დაჭრილი ვარ უიარაღოდ,
მე შენს სიყვარულს ვერ გავექეცი.

მე ვეტრფი მხოლოდ შენს ლამაზ თვალებს
და სურნელებას შენი ტანისას,
გაშლილო მზეო, გავსილო მთვარევ,
ღაჟღაჟა ვარდო წინანდალისა,
მე ვეტრფი მხოლოდ შენს ლამაზ თვალებს
და სურნელებას შენი ტანისას!

მე იგი მიყვარს, ვისაც უყვარდა
თავისი ქვეყნის ხალხი და მიწა,
ვისაც სახელი შორს გაუვარდა,
ვინც კაცი იყო და ლექსად იქცა,
მე იგი მიყვარს, ვისაც უყვარდა
თავისი ქვეყნის ხალხი და მიწა!

მე შენ მიყვარხარ და საქართველო,
უთქვენოდ, აბა, რამ გამახაროს!
მიწავ, მტერთაგან დაუთრგუნველო,
გთხოვ, შენი კალთა გადამაფარო!
მე შენ მიყვარხარ და საქართველო,
უთქვენოდ, აბა, რამ გამახაროს!

მე კარგად ვიცი, ვინა ვარ, რა ვარ,
საიდან მოველ ან საით წავალ, _
და ვეტრფი ძლიერ თბილისის ჰავას,
ნიკო ფიროსმანს და საათნავას!

გიზიარებთ ფილმის „თეთრი ბაირაღებიდან“ ნაწყვეტს, რომელშიც პერსონაჟი მღერის საიათნოვაზე : (https://youtu.be/K42PBlVKbiQ?feature=shared)

ჯგუფური მუშაობის დავალება:

პირველი ეტაპი: აირჩიეთ საიათნოვას რომელიმე ლექსი და სცადეთ მათი დაკავშირება სხვადასხვა კულტურებთან;

მეორე ეტაპი: ყურადღებით გაეცანით საიათ ნოვას პოეზიის ტიპოლოგიას და დაასახელეთ ის დეტალები, რომლებიც თვალსაჩინოს ხდის პოეტის დამოკიდებულებას სომხური და ქართული კულტურის, ტრადიციების მიმართ;

მესამე ეტაპი: ჩაატარეთ მოკლე დისკუსია იმის შესახებ, თუ როგორ ეხმარება მწერლობა, პოეზია, ლიტერატურა და მისთანანი საზოგადოებას, რომ გამოიმუშავოს მიმღებლობა და შეიქმნას მეგობრული გარემო ეთნიკურად განსხვავებული ადამიანებს მიმართ/შორის. ამასთანავე, როგორ უნდა ჩამოუყალიბდეს საზოგადოებას უნარი იმასთან დაკავშირებით, თუ რა ხერხით დაიმკვიდროს თავი მრავალეთნიკურ საზოგადოებაში;

მეოთხე ეტაპი:შეგიძლიათ გააკეთოთ მესამე ეტაპში ნახსენები საკითხის ინსცენირებაც კლასში, ამ საკითხში შეზღუდულები არ ხართ.

გაკვეთილის საბოლოო შეჯამება და შეფასება:

შევაჯამოთ გაკვეთილი ერთად შემდეგი კითხვებით:

1. როგორ ასახა საიათ ნოვამ თავის პოეზიაში მრავალეთნიკურობის საკითხი?

2. ჩამოაყალიბეთ რა გზით სცადა საიათ ნოვამ სხვადასხვა კულტურის შერწყმა ერთმანეთთან , დაასახელეთ თითოეული მათგანი;

3. რატომ გახდა საიათ ნოვა მნიშვნელოვანი ფიგურა ისტორიაში, რა გავლენა მოახდინა ლიტერატურაზე, გამოყავით ბულეტების სახით;

4. ისაუბრეთ თემაზე, თუ როგორ შეიძლება ლიტერატურამ შექმნას ისეთი გარემო, სადაც არის სიმშვიდე, ურთიერთგაგება, ურთიერთპატივისცემა, სითბო და სიყვარული იმ ადგილას, რომელშიც მრავალი ეთნოსის წარმომადგენელი ხალხი ცხოვრობს?

ქვიზი:

I. როგორ ასახავს საიათ ნოვა თავის პოეზიაში საქართველოს ეთნიკურ მრავალფეროვნებას?

ა) მხოლოდ სომხური კულტურების შესახებ წერს
ბ) ასახავს მეგობრობას და მშვიდობიან თანაცხოვრებას
გ) მხოლოდ ქართული კულტურის თემებზე წერდა

II. როგორ არის დაკავშირებული საიათ ნოვას შემოქმედება ქართული და სომხური კულტურების შერწყმასთან?

ა) იგი მხოლოდ სომხურ ტრადიციებს წარმოადგენდა
ბ) მისი პოეზია აერთიანებდა ქართულ და სომხურ კულტურებს
გ) მხოლოდ ქართულ ტრადიციებს ასახავდა

III. ვინ გადაიღო საიათ ნოვას ცხოვრების შესახებ ფილმი?
ა) სერგო ფარაჯანოვმა
ბ) დემნა შენგელაიამ
გ) გიორგი ხაინდრავამ

IV. როგორ არის მოხსენიებული საიათ ნოვა იოანე ბატონიშვილის კალმასობაში?
ა)საათნავა
ბ)საიათ ნოვა
გ)საათლამა

V. რომელი ქართველი მეფის კარზე მსახურობდა საიათ ნოვა?
ა) ერეკლე მეორის
ბ) დავით მეოთხე აღმაშენებელის
გ) თამარ მეფის

საშინაო დავალება: მოსწავლეებმა ბლოგის სახით უნდა ატვირთონ ისეთი ტექსტი რომელიც მჭიდრო კავშირში იქნება საიათ ნოვას პოეზიასა და მის როლზე მრავალეთნიკურ სახელმწიფოში, როგორიცაა საქართველო. თემაზე შეზღუდულები არ ხართ, მთავარია შეძლოთ მისი მკაფიო ანალიზი და აზრის სწორად დაფიქსირება.

წყაროების დამოწმება:

1. http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00000772/
2. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/179209/1/Literatura_da_Xelovneba_1945_N32-.pdf
3. https://poetry.ge/poets/lado-asatiani/poems/262.me-vetrpi-dzlier-tpilisis-havas.htm
4. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/176698/5/Macne_1982_N2_Gateqstebuli.pdf